

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33
2017 წლის 25 დეკემბერი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ.ა" ქვეპუნქტისა და "საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" მე-12 თავის 78 – ე მუხლის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობა 6916,2 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის გათანაბრებითი ტერანსფერი 5920,1 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 160,0 ათასი ლარი, გადასახადები 510,0 ათასი ლარი სხვა შემოსავლები 266,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 60,0 ათასი ლარი.

მუხლი 2

გადასახდელები დამტკიცდეს 6916,2 ათასი ლარის მოცულობით.

მუხლი 3

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის N34 დადგენილება. „ხონის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის პირველი იანვრიდან.

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვალერი ბახტაძე

დანართი

თავი I

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

№	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროექტი
1	შემოსულობები	9206,6	9853,7	6916,2
	შემოსავლები	9045,7	9780,7	6856,2
	არაფინანსური აქტივების კლება	160,8	73,0	60,0
2	გადასახდელები	8950,9	9853,7	6916,2



	ხარჯები	6155,4	6175,2	6142,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2714,6	3598,4	725,3
	ვალდებულებების კლება	80,9	80,0	48,9
3	ნაშთის ცვლილება			

მუხლი 2. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9 045,7	2 863,2	6 182,6	9 780,7	3 155,0	6 625,6	6 856,2	160,0	6 696,2
გადასახადები	587,4	0,0	587,4	620,0	0,0	620,0	510,0	0,0	510,0
გრანტები	8 130,1	2 810,9	5 319,2	8 389,3	2 943,4	5 445,9	6 080,1	160,0	5 920,1
სხვა შემოსავლები	328,2	52,2	276,0	771,4	211,7	559,7	266,1	0,0	266,1
ხარჯები	6 155,4	74,5	6 080,9	6 175,2	357,5	5 817,7	6 142,0	157,5	5 984,5
შრომის ანაზღაურება	1 368,8	60,8	1 308,1	1 234,9	61,5	1 173,4	1 310,0	60,0	1 250,0
საქონელი და მომსახურება	665,1	9,8	655,4	698,9	6,5	692,4	665,5	6,5	659,0
სუბსიდიები	3 307,2	0,0	3 307,2	3 202,9	86,0	3 116,9	3 377,5	86,0	3 291,5
გრანტები	154,7	0,0	154,7	0,5	0,0	0,5	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	529,4	4,0	525,4	602,0	4,0	598,0	608,0	5,0	603,0
სხვა ხარჯები	130,2	0,0	130,2	436,1	199,5	236,6	181,0	0,0	181,0
საოპერაციო სალდო	2 890,3	2 788,6	101,7	3 605,5	2 797,5	808,0	714,2	2,5	711,7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2 553,7	2 488,8	64,9	3 525,4	2 744,3	781,1	665,3	2,5	662,8
ზრდა	2 714,6	2 488,8	225,7	3 598,4	2 744,3	854,1	725,3	2,5	722,8
კლება	160,8	0,0	160,8	73,0	0,0	73,0	60,0	0,0	60,0
მთლიანი სალდო	336,6	299,8	36,8	80,0	53,2	26,9	48,9	0,0	48,9
ფინანსური აქტივების ცვლილება	255,7	299,7	-43,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



ზრდა	299,7	299,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	299,7	299,7		0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	43,9	0,0	43,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	43,9		43,9	0,0			0,0	0,0	0,0
კლება	80,9	0,2	80,7	80,0	53,2	26,9	48,9	0,0	48,9
საშინაო	80,9	0,2	80,7	80,0	53,2	26,9	48,9	0,0	48,9
ბალანსი	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000	0,000
ნაშთის ცვლილება	274,3	211,7	62,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

თავი II

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, 6916,2 ათასი ლარით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	9 206,6	2 863,2	6 343,4	9 853,7	3 155,0	6 698,6	6 916,2	160,000	6 756,2
შემოსავლები	9 045,7	2 863,2	6 182,6	9 780,7	3 155,0	6 625,6	6 856,2	160,0	6 696,2
გადასახადები	587,4	0,0	587,4	620,0	0,0	620,0	510,0	0,0	510,0
გრანტები	8 130,1	2 810,9	5 319,2	8 389,3	2 943,4	5 445,9	6 080,1	160,0	5 920,1
სხვა შემოსავლები	328,2	52,2	276,0	771,4	211,7	559,7	266,1	0,0	266,1

მუხლი 4. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახადები 510,0 ათასი ლარით

	2016 წლის ფაქტი		2017 წლის გეგმა		2018 წლის გეგმა	
	მათ შორის		მათ შორის		მათ შორის	



დასახელება	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	587,4	0,0	587,4	620,0	0,0	620,0	510,0	0,0	510,0
ქონების გადასახადი	170,4	0,0	170,4	170,0	0,0	170,0	110,0	0,0	110,0
საშემოსავლო გადასახადი	417,0		417,0	450,0		450,0	400,0		400,0

მუხლი 5. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გრანტები 6080,1 ათასი ლარით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8 130,1	2 810,9	5 319,2	8 389,3	2 943,4	5 445,9	6080,1	160,0	5920,1
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8 130,1	2 810,9	5 319,2	8 389,3	2 943,4	5 445,9	6080,1	160,0	5920,1
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5 477,7	158,5	5 319,2	5 605,9	160,0	5 445,9	6 080,1	160,0	5920,1
გათანაბრებითი ტრანსფერი	5 319,2		5 319,2	5 445,9		5 445,9	5920,1		5920,1
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	158,5	158,5		160,0	160,0		160,0	160,0	0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2 652,4	2 652,4	0,0	2 783,4	2 783,4	0,0	0,0	0,0	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი									



პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1 794,3	1 794,3		2 583,4	2 583,4		0,0	0,0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	481,6	481,6		0,0	0,0		0,0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	376,6	376,6		200,0	200,0		0,0	0,0	

მუხლი 6. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 266,1 ათასი ლარით

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	328,2	52,2	276,0	771,4	211,7	559,7	266,1	0,0	266,1
შემოსავლები საკუთრებიდან	66,9	0,0	66,9	77,0	0,0	77,0	96,0	0,0	96,0
პროცენტები	28,7		28,7	28,0		28,0	40,0		40,0
რენტა	38,2	0,0	38,2	49,0	0,0	49,0	56,0	0,0	56,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	36,0		36,0	44,0		44,0	50,0		50,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2,2		2,2	5,0		5,0	6,0		6,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	60,6	0,0	60,6	126,1	0,0	126,1	87,0	0,0	87,0
ადმინისტრაციული									



მოსაკრებლები და გადასახდელები	30,0	0,0	30,0	96,1	0,0	96,1	52,0	0,0	52,0
სანებართვო მოსაკრებელი	1,3		1,3	66,1		66,1	20,0		20,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	28,7		28,7	30,0		30,0	32,0		32,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	30,6	0,0	30,6	30,0	0,0	30,0	35,0	0,0	35,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან.(იჯარა)	30,6		30,6	30,0		30,0	35,0		35,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	76,6		76,6	55,0		55,0	73,1		73,1
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	8,3		8,3	239,0		239,0	10,0		10,0

თავი III
ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები 6861,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

ხონის მუნიციპალიტეტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხონის მუნიციპალიტეტი	8 950,9	2 563,5	6 387,4	9 726,1	3 155,0	6 571,0	6 861,3	160,000	6 701,3
ხარჯები	6 155,4	74,5	6 080,9	6 054,7	357,5	5 697,1	6 136,0	157,5	5 978,5
შრომის ანაზღაურება	1 368,8	60,8	1 308,1	1 244,9	61,5	1 183,4	1 304,0	60,0	1 244,0
საქონელი და მომსახურება	665,1	9,8	655,4	685,4	6,5	678,9	665,5	6,5	659,0



სუბსიდიები	3 307,2	0,0	3 307,2	3 163,3	86,0	3 077,3	3 377,5	86,0	3 291,5
გრანტები	154,7	0,0	154,7	0,5	0,0	0,5	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	529,4	4,0	525,4	557,0	4,0	553,0	608,0	5,0	603,0
სხვა ხარჯები	130,2	0,0	130,2	403,6	199,5	204,1	181,0	0,0	181,0

მუხლი 8. განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2 553,7	2 488,8	64,9	3 525,4	2 744,3	781,1	665,3	2,5	662,8
ზრდა	2 714,6	2 488,8	225,7	3 598,4	2 744,3	854,1	725,3	2,5	722,8
კლება	160,8	0,0	160,8	73,0	0,0	73,0	60,0	0,0	60,0

მუხლი 9. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქცი-კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 012,9	0,0	2 012,9	1 776,3	0,0	1 776,3	1 804,0	0,0	1 804,0
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 012,9	0,0	2 012,9	1 776,3	0,0	1 776,3	1 804,0	0,0	1 804,0
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 012,9	0,0	2 012,9	1 776,3	0,0	1 776,3	1 804,0	0,0	1 804,0



702	თავდაცვა	70,0	66,5	3,5	70,0	70,0	0,0	69,0	69,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 357,3	2 230,3	127,0	3 042,0	2 564,9	477,1	464,9	0,0	464,9
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	279,1	279,1	0,0	205,0	200,0	5,0	52,0	0,0	52,0
70421	სოფლის მეურნეობა	279,1	279,1	0,0	205,0	200,0	5,0	52,0	0,0	52,0
7045	ტრანსპორტი	1 613,6	1 486,6	127,0	2 721,4	2 299,2	422,1	412,9	0,0	412,9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1 613,6	1 486,6	127,0	2 721,4	2 299,2	422,1	412,9	0,0	412,9
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	464,5	464,5	0,0	115,7	65,7	50,0	0,0	0,0	0,0
705	გარემოს დაცვა	511,8	0,0	511,8	517,6	0,0	517,6	570,0	0,0	570,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	511,8	0,0	511,8	517,6	0,0	517,6	570,0	0,0	570,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	411,0	171,7	239,3	1 114,8	376,9	737,9	567,0	0,0	567,0
7061	ბინათმშენებლობა	196,6	171,7	25,0	658,8	376,9	281,9	150,0	0,0	150,0
7064	გარე განათება	26,5	0,0	26,5	200,0	0,0	200,0	200,0	0,0	200,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო- კომუნალურ მეურნეობაში	187,8	0,0	187,8	256,0	0,0	256,0	217,0	0,0	217,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	88,0	0,0	88,0	86,0	86,0	0,0	86,0	86,0	0,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	88,0	0,0	88,0	86,0	86,0	0,0	86,0	86,0	0,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 482,8	90,8	1 392,0	1 095,2	0,0	1 095,2	1 177,4	0,0	1 177,4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	424,5	0,0	424,5	200,0	0,0	200,0	229,0	0,0	229,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	747,2	90,8	656,4	617,6	0,0	617,6	663,4	0,0	663,4



7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	67,5	0,0	67,5	52,6	0,0	52,6	55,0	0,0	55,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	243,6	0,0	243,6	225,0	0,0	225,0	230,0	0,0	230,0
709	განათლება	1 155,1	0,0	1 155,1	1 234,3	0,0	1 234,3	1 274,0	0,0	1 274,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	861,7	0,0	861,7	942,7	0,0	942,7	970,0	0,0	970,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	293,4	0,0	293,4	291,6	0,0	291,6	291,6	0,0	304,0
710	სოციალური დაცვა	781,1	4,0	777,1	837,4	4,0	833,4	855,0	5,0	850,0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	703,7	0,0	703,7	782,4	0,0	782,4	800,0	0,0	800,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	77,4	4,0	73,4	55,0	4,0	51,0	50,0	5,0	45,0
	სულ	8 870,0	2 563,3	6 306,6	9 773,6	3 101,9	6 671,8	6 867,3	160,0	6 707,3

თავი IV

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო

დასახელება	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
მთლიანი სალდო	80,9	0,2	80,7	80,0	53,2	26,9	48,9		48,9

მუხლი 11. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0



მუხლი 12. ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდებლების დაფინანსების მიზნით ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 70.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 13. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას ფონდი 0,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 68-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 160,0 ათ. ლარი მიმართულ იქნეს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 86.0 ათასი ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 69.0 ათასი ლარი.

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 5.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი V

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2018-2021 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

**მუხლი 16. ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები
ხონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა (კოდი: 0100)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, საქონელი და მომსახურება, სხვა ხარჯები, არაფინანსური აქტივების გაზრდა, ვალდებულების კლება და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს,



სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს. აგრეთვე თავდაცვის ხარჯებს.

მუნიციპალური ბანკის განვითარების სესხის მომსახურება სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან გაფორმდა სასესხო ხელშეკრულებზე.

ქვეპროგრამის მიზანია სამსახურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სამსახურის წინაშე დასმული ამოცანების კომპეტენტურად და წარმატებით გადაწყვეტა, სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და შემდგომში თითოეული მათგანის კომპეტენციის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ეფექტურობის ამაღლება.

მუნიციპალიტეტის საფინანსო სისტემა, პერმანენტულად საჭიროებს განახლებასა და გაუმჯობესებას, რათა ადეკვატურად პასუხობდეს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და საჭიროებებს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მიმართული იქნება აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად.

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (0202)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა.

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება. 2018 წლის ბიუჯეტით ქვე პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია 69,0 თასი ლარი.

3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მუნიციპალიტეტის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება.

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 412,9 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგები:

საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა; მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; მუნიციპალიტეტში საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება; გამართული სანიაღვრე სისტემა; ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა; ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება და



მნიშვნელოვანი კაპიტალური სამუშაოების განხორციელება.

შეფასების კრიტერიუმები:

გაზრდილი რეაბილიტირებული გზების რაოდენობა; რეაბილიტირებული სანიაღვრე სისტემების რაოდენობა.

5. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, შენობა ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური სერვის ცენტრის უზრუნველყოფა, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, ადმინისტრაციული შენობების მოვლა პატრონობა.

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1035,0 ათასი ლარი.

მოსალოდნელი შედეგები:

განათებული ქუჩები, მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება; მოსახლეობისთვის, ტურისტებისათვის კომფორტული და მიმზიდველი გარემოს შექმნა; მათი კომფორტულად დასვენებისა და გართობისათვის არეალის გაზრდა, ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება და მნიშვნელოვანი კაპიტალური სამუშაოების განხორციელება, მოწესრიგებული სანიაღვრე არხები, საფეხმავლო ბილიკები, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა; კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, კეთილმოწყობილი შენობა ნაგებობები.

6. დასუფთავების ღონისძიებები ააიპ კომუნალური სერვის-ცენტრი (პროგრამული კოდი 03 02 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 570,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, მოსახლეობის მაწანწალა ძაღლებისაგან დაცვა და მათი იზოლირება. კომუნალური სერვის ცენტრი ანხორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ექსპლუატაციას, ახდენს დაზიანებული სანათების შეცვლას და მასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევას. კომუნალური სერვის ცენტრი ანხორციელებს ქალაქის გამწვანების სამუშაოების უზრუნველყოფას. შესაბამის პერიოდში დაზიანებული ხეების შეკაფვის სამუშაოებს. ასევე, საახალწლო და სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმებას, ნაძვის ხის დადგმას და ქუჩების კეთილმოწყობას. ღონისძიებების დასრულების შემდგომ, მათ დემონტაჟს.

მოსალოდნელი შედეგები:

- ჰიგიენურად და ესთეტიურად მოწესრიგებული ქალაქი;
- თოვლის საფარის გაწმენდის შედეგად ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება.

7. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 200,0 ათასი ლარი.

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე



განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, ქუჩებზე არსებული ქსელის მოვლა შენახვა და მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება. ასევე ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოწყობა .

მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- უზრუნველყოფილი უსაფრთხო გადაადგილება ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის დღე-ღამის ნებისმიერ დროს.

8. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 142,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მწვანე ნარგავების მოვლა. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის ტერიტორიის გაფორმება და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსახლეობისათვის ესთეტიკურად კეთილმოწყობილი გარემოს შექნა;

9. ააიპ სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური (პროგრამული კოდი 03 03 02)

აღნიშნული ქვეპროგრამით ფინანსდება ააიპ სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას.

10. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები

11. საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურეობის შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 05)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

12. სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

2018 წელს პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი არის 12,0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში დაგეგმილია მოსახლეობისა და ფერმერთა ცოდნის ამაღლება აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, სოფლის მეურნეობის საკითხებში სპეციალისტების მოწვევა, მუნიციპალიტეტის ფერმერებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის ტრენინგების მოწყობა. ფერმერებისათვის დამხმარე ბუკლეტებისა და ბროშურების გამოშვება. საპროგრამო პერიოდში დაგეგმილია კენკროვან კულტურების სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

სოფლის მეურნეობაში დაინტერესებული პირების გაზრდილი ინფორმირებულობა

13. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)



პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1274,0 ათასი ლარი.

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პრობების შექმნა და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზება;

14. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01, 04 06)

სკოლამდელი განათლების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 970,0 ათასი ლარი.

პროგრამის აღწერა და მიზანი:

საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. საბავშვო ბაღი, როგორც დაწესებულების ტიპი, წარმოადგენს პირველ რგოლს განათლების სისტემაში. მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების 850-ზე მეტი აღსაზრდელისთვის შეიქმნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, რომელსაც 100% აფინანსებს მუნიციპალიტეტის მერია.

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება, სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგის მოქნილი სისტემის უზრუნველყოფა და აღმზრდელთა პროფესიული ზრდა .

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება;
- საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

მოსალოდნელი შედეგები:

- ბავშვის ინტერესებსა და უფლებებზე ორიენტირებული ფიზიკური და სოციალური გარემო;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ცენტრალური საბავშვო ბაღი.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 ბაღი, სადაც აღსაზრდელთა რაოდენობა არის 850-მდე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ კვების ხარჯს, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. საბავშვო ბაღებში რეაბილიტირების ჩატარების შემდეგ დაგეგმილია დამატებითი ჯგუფის გახსნა რის შედეგადაც ბავშვების რაოდენობა გაიზრდება.

15. ააიპ ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 117,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, სადაც მუშაობს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, აქ მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის დაწყებით



განათლებას ტექნიკურ მოდელირებაში.

უნვითარებს მოსწავლე-ახალგაზრდობას ინტერესს მეცნიერების, ტექნიკის, საწარმოო საქმიანობისა და გამოგონებლობისადმი; უყალიბებს მოზარდებს ტექნიკურ-შემოქმედებით აზროვნებას, ხელს უწყოს მათ შრომით აღზრდას და პროფესიულ ორიენტაციას; ამზადებს მოსწავლეებს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებში, ოლიმპიადებში, კვირეულებსა და გამოფენებში მონაწილეობისათვის; ატარებს შიდა კონკურსებს, ოლიმპიადებს, კვირეულებსა და გამოფენებს; თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ სკოლისგარეშე დაწესებულებებთან; სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში ამზადებს შესაბამის ასაკის ბავშვებს.

მოსალოდნელი შედეგები:

ზოგადი განათლების გაზრდილი ხელმისაწვდომობა.

16. ა(ა)იპ ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 49,0 ათასი ლარი.

ააიპ ინფორმატიკის სასწავლო ცენტრში ხორციელდება, კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის სწავლება.

მოსალოდნელი შედეგები:

ზოგადი განათლების გაზრდილი ხელმისაწვდომობა.

17. ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახ. ხონის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 04 04)

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 138,0 ათასი ლარი.

ააიპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებს სასწავლო და შემოქმედებითი წრეები, კლუბები, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები და სახელოვნებო სტუდიები. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზებას, ბავშვებში და ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებისა და მათი პრობლემების გადაჭრისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის თავისუფალი დროის ორგანიზება, ბავშვთა და ახალგაზრდული ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა; ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა; ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირებისათვის ხელშეწყობა, სოციალურად დაუცველი, აგრეთვე სწავლაში და ხელოვნებაში განსაკუთრებით გამორჩეული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ტრენინგ-სემინარების, კონფერენციების, კონცერტების, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების, ოლიმპიადების, საქველმოქმედო აქციებისა და სხვა ღონისძიებათა მოწყობა; ბავშვებისა და ახალგაზრდების საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობისათვის.

მოსალოდნელი შედეგები:

ზოგადი განათლების გაზრდილი ხელმისაწვდომობა.

18. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 1177,4 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად



აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს ახალგაზრდული ორგანიზაციების და პროექტების, კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

19. ა(ა)იპ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც ახორციელებს ფეხბურთელთათვის სავარჯიშო და სათამაშო პირობების შექმნას, ნიჭიერი სპორტსმენების წახალისებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პოპულარიზაციას. აღნიშნული ა(ა)იპ-ის ფარგლებში შექმნილია საფეხბურთო გუნდი „იმერეთი“, რომელიც მონაწილეობას იღებს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში.

20. ააიპ კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 229,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

ქვეპროგრამა მოიცავს ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლის დაფინანსებას. სადაც ფუნქციონირებს ფეხბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, მძლეოსნობის, რაგბის, ჭადრაკის, კარატის, კრივის სექციები და უზრუნველყოფს ფედერაციების ეგიდით განხორციელებულ სხვადასხვა ტურნირებში მათი მივლინებასა და კვების ხარჯების დაფინანსებას, საწვრთნელი პირობების შექმნას. ხელს უწყობს ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდას, წარმოჩინებას და ფართო ასპარეზზე გაყვანას. სხვადასხვა სპორტული წრეებში დაკავებულია 288 აღსაზრდელი.

მოსალოდნელი შედეგები:

- საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატება;
- ხონის მუნიციპალიტეტის სპორტსმენების მოხვედრა სხვადასხვა რანგის ნაკრებში;
- მოსახლეობის გაზრდილი ინტერესი სპორტის სახეობების მიმართ.

21. ააიპ მთავარი ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 02 03)

პროგრამის/ქვეპროგრამის ბიუჯეტი 122,5 ათასი ლარი.

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ხელშეწყობა, ფონდების შევსება უახლესი ლიტერატურით, არსებული ფონდების დამუშავება სპეციალური მეთოდოლოგიით, სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, ინოვაციური პროცესების დანერგვა, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება თანამედროვე საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად.

მოსალოდნელი შედეგები:

ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობის და მასში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა; საბიბლიოთეკო ფონდში არსებული წიგნების რაოდენობის გაზრდა, მკითხველთა რაოდენობის გაზრდა ბიბლიოთეკებში;

22. ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 04)



ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ხონის“ სამუსიკო სკოლა“. სკოლაში სწავლობს 249 -მდე მოსწავლე, ფუნქციონირებს ფორტეპიანოს და თეორიული განყოფილება, სოლფეჯიოს, მუსიკის ლიტერატურის და რითმიკის ჯგუფი. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შიდა ღონისძიები, ღია და დახურული კონცერტები, ღია გაკვეთილები, ტექნიკური ჩათვლები.

23. ააიპ კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 05)

ააიპ კულტურის ცენტრში შექმნილია წრეები, ფუნქციონირებს თეატრალური დასი, სასულე ორკესტრი, ფოლკლორული ანსამბლები, ასევე იდგმება სპექტაკლები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ ჩართვას.

24. ააიპ სამხატვრო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა ხელს უწყობს ბავშვებისა და მოზარდების სკოლისგარეშე მუშაობაში ჩართვას, ესთეტიკურ აღზრდას და მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბებას.

25. ააიპ ხონის ისტორიული მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 07)

